Version A - 06 March, 2017

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი
საგარეო საქმეთა სამინისტრო

პირველი დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრი

გუდაური
2017 წლის 11 მარტი

პროგრამა

<u>შაბათი, 2017 წლის 11 მარტი</u>

09:30 ჩასვლა გუდაურში
შეკრების ადგილი: სასტუმრო „გუდაური მარკო პოლო“, უკანა შესასვლელი, სათხილამურო ეკიპირების პუნქტი SKI DEPOT
(გთხოვთ იხილოთ თანდართული რუკა)

09:30-10:00 - შეჯიბრისთვის მომზადება/ეკიპირება
სასტუმროში გამოყოფილი იქნება 2 გამოსაცვლელი ოთახი მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. მონაწილეებს გადაეცემათ ნომრიანი მაისურები და მოხდება რეგისტრაცია

10:00 - გამგზავრება „კუდებზე“ ღია საბაგირო გზით N1; გადაჯდომა N2 საბაგირო გზაზე.

10:20 - მისვლა შეჯიბრის ფინიშის ხაზზე („კუდები“)

10:25 - შეჯიბრის მონაწილეების გამგზავრება ღია საბაგირო გზით N3;

10:30-11:15 მომზადება დაშვებისთვის/გავარჯიშება

11:15-13:00 შეჯიბრი (გთხოვთ იხილოთ საშეჯიბრო რუკა)

13:00-13:15 დაჯილდოების ცერემონია

13:15 ფეხით მისვლა ლანჩის ადგილზე - „ხიჟინასთან“

13:30-15:30 ლანჩი „ხიჟინაში“

15:30 დაბრუნება იმავე მარშრუტით სასტუმროში „გუდაური მარკო პოლო“

პროგრამის დასასრული

საინფორმაციო ბარათი

ორგანიზატორები: *პირველი დიპლომატიური სათხილამურო შეჯიბრი ორგანიზებულია ერთობლივად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში გაერო-ს რეზიდენტ-კოორდინატორის ოფისისა და მთის კურორტების განვითარების კომპანიის მიერ.*

მონაწილეები: *საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები; საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები; საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები*

შეკრების ადგილის რუკა





მგზავრობა: *მონაწილეები შეკრების ადგილზე უნდა მოგრძანდნენ პროგრამით გათვალისწინებულ დროს, რათა არ შეფერხდეს შეჯიბრის დროული დაწყება. მგზავრობის დაახლოებითი დრო თბილისი - გუდაური - 2სთ და 5 წთ. (124 კმ).*

სასტუმრო: თუ გსურთ სასტუმრო გუდაური მარკო პოლოს დაჯავშნა, სპეციალურად ამ ღონისძიებისათვის სასტუმრო გვთავაზობს სპეციალურ სამთავრობო ტარიფებს. დაჯავშნისას გთხოვთ გამოიყენოთ ქვემოთ მითითებული პრომო-კოდი.

ტარიფები: *სტანდარტული ერთადგილიანი ნომერი - 95 $ ერთი ღამე;*
სტანდარტული ორადგილიანი ნომერი - 110 $ ერთი ღამე;
Junior Suit (ერთადგილიანი) – 130 $ ერთი ღამე;
Junior Suit (ორადგილიანი) - 148 $ ერთი ღამე;
სამადგილიანი ნომერი – 270 $ ერთი ღამე.

პრომო-კოდი: GVMT - 09

შენიშვნები:

- *სასტუმროს ფასში შედის საუზმის ღირებულება და დღგ.*

- *შემოთავაზება ძალაშია 10-12 მარტის პერიოდისთვის*

კონტაქტი:
მეილი: reservation@marcopolo.ge;
incoming@marcopolo.ge;
sales@marcopolo.ge

ტელ/ფაქსი: +(995) 32 220 29 00 (1)
+(995) 591 111 900

ინტერნეტ-გვერდი: http://marcopolo.ge

ტრანსპორტი:
- *მონაწილეები თავად უზრუნველყოფენ გუდაურამდე მგზავრობას და უკან დაბრუნებას.*

პარკირება:
- *სასტუმროში „მარკო პოლო“ გამოყოფილი იქნება პარკირება შეჯიბრების მონაწილეთა ავტომობილებისათვის. გთხოვთ ამობეჭდოთ და მანქანის წინა საქარე მინაზე თვალსაჩინოდ განათავსოთ თანდართული პარკირების ნებართვა და მიჰყვეთ პატრულის ოფიცრის მითითებებს.*

სამედიცინო მომსახურება:
შეჯიბრის ადგილზე მობილიზებული იქნება სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები და სათხილამურო პატრული.

დაჯილდოების ცერემონია:
შეჯიბრის დასრულების შემდეგ გაიმართება დაჯილდოების ცერემონია / ჯგუფური ფოტოს გადაღება

ლანჩი:
ლანჩი გაიმართება სასადილოში „ხიჟინა“.

ამინდი:
- *წვიმის/თოვლის დაბალი ალბათობა;*
- *მოსალოდნელი მაქსიმალური ტემპერატურა: 5-11 ° C;*
- *მოსალოდნელი მინიმალური ტემპერატურა: -6 to 0 ° C*
- *მზის ამოსვლა 7:21 AM*
- *მზის ჩასვლა 7:04 PM*

გთხოვთ თან იქონიოთ მზისგან დამცავი საშუალება და სათვალე

შენიშვნა:
საბაგირო გზის საშვები („სქი ფასი“)- გადმოგეცემათ უსასყიდლოდ

დანართი: ავტომანქანის საშვი

გთხოვთ, აღნიშნული საშვი ამოგეჭდოთ და თვალსაჩინოდ განათავსოთ ავტომანქანის წინა საქარე მინაზე, რათა თქვენი ავტომობილი შეუფერხებლად დაშვებულ იქნას სასტუმრო „გუდაური მარკო პოლოს“ პარკირებაზე

შეჯიბრის ლოგო